

გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქალთა ოთახის მიერ

2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

გენდერული თანასწორობის საბჭო და ქალთა ოთახი ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას და მის ფუნქციონირებას, ასევე მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიებში, პრიორიტეტების დოკუმენტებში, ბიუჯეტსა და მუნიციპლურ პროგრამებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. 2018 წლიდან 2022 წლამდე საბჭო ხელმძღვანელობდა 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმით, რომლი ძირითადი ამოცანა პრიორიტეტული მიმართულება იყო გენდერული თანასწორობის კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სოციალურ სფეროებში ქალთა მონაწილეობა და ჩართულობის გაზრდა, კოლეგიალური ორგანო მჭიდროდ და კოორდინირებულად მუშაობს მერიაში გენდერულ თანასწორობის პასუხისმგებელ პირებთან, რომელიც ამავდროულად არის საბჭოს წევრი (თავმჯდომარის მოადგილე) საბჭო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების/ამოცანების შესარულებლად გასცემს რეკომენდაციას პასუხისმგებელმა პირმა მოამზადოს შესაბამისი პროგრამები და ამ მიზნების განსახორციელებლად გამოიყოს შესაბამისი ბიუჯეტი.

- განვითარებამ და პრაქტიკამ, მოსახლეობისაგან მიღებულმა უკუკავშირმა აჩვენა, რომ რომ საბჭომ საქმიანობა კიდევ უნდა გააფართოვოს და შეიმუშაოს სხვადასხვა პროგრამები. წინსწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მიმდინარე წელს საბჭომ მიიღო

- **ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია**

- **სტრატეგიის ხედვა**

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებით მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა

- **სტრატეგიის მიზანი**

- მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ასევე, შეიმუშავა სტრატეგიის განხორციელების 2022 -2024 წლების სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმის

სტრატეგიული მიზანი 2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა - მეორე მიზნის შესასრულებლად მერიას მიმართა რეკომენდაციით პროგრამის შემუშავებაზე და სწორედ თანასწორობაზე პასუხიმგებელმა პირმა შეიმუშავა „ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა“ მიზნობრივი პროგრამა რომლის ბიუჯეტი არის 15 000 ლარი, ქვეპროგრამის მიზანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, აღსანიშნავია რომ აღნიშნული პროგრამით დაინტერესდა UNDP თავისი ფინანსური თანამონაწილეობით პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 15 000 ლ და ჯამში შეადგენს 30 000 ლარს, პროგრამა წარმატებთ განხორციელდა, თავიანთი წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად მათი 20 -% იანი თანამონაწილეობით დაფინანსდა 9 მეწარმე ქალი, მათ მიეცათ თავიანთი იდეის განხორციელებისა და ადგილზე დასაქმების საშუალება.



სტრატეგიული მიზანი 3. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

მოცანა N1

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური მხარდაჭერა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება - შემუშავდა შესაბამისი პროგრამა ქვეპროგრამის დასახლება „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური რომელიც მოიცავს რამდენიმე კომპონენტს:

1. კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი გადაწყვეტილებით) მქონე პირთა ფინანსურ დახმარებას (200-800) (ორასი-რვაასი) ლარის ოდენობით, სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად, ასვე საჭიროების შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დროებით (სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად) ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის დაქირავებას.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის ქვე-აქტივობები:

25 ნოემბერი - ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისთვის და საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის გაიმართა. ელონისძიებას სულ ესწრებოდა 21 მსმენელი მათ შორის 11-კაცი და 10 -ქალი.

2. 29 ნოემბერი - უფლება დამცველ ქალთა საერთაშორისო დღე ტრენინგ/სემინარი თემაზე „ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“ სამიზნე აუდიტორია. ქედის მუნიციპალიეტის საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგები. ღონისძიებას სულ ესწრებოდა 17- მსმენელი მათ შორის 6- კაცი, 11 ქალი.



2. 5 დეკემბერი - მოხალისეთა საერთაშორისო დღე „არა - ძალადობის კამპანია“ კამპანიის ფარგლებში გასვლითი შეხვედრა გაიმართა ცხმორისის ადმინისტრაციულ

ერთეულში, შეხვედრა სოფ: ახოს საჯაროს სკოლაში გაიმართა ღონისძიებას დაესწრო, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები.


ღონისძიებას სულ ესწრებოდა 35



მსმენელი მათ შორის 17 -

ქალი და 18 კაცი.

4. 7- დეკემბერი არა ძალადობის კამპანიის ფარგლებში ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიებას ესწრებოდნენ ქედის მუნიციპალიტეტში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის, ადგილობრივი მედიის, სამთავრობო უწყების, რესურსცენტრის წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის წევრები. სულ ესწრებოდა 21 მსმენელი 17-ქალი და 4-კაცი




5. 10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები, რომელსაც ესწრებოდნენ ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლები დამამთავრებელი კლასის მოსაწველები, მათ შორის სულ 18 მოსაწველე - აქედან 9- გოგო, 9-ბიჭი საჩუქრად გადაეცათ ელის უოკერის



ავტორობით წიგნი „ისფერი“

დამსწრეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში: „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობი მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს სულ ესწრებოდა



ჩამოთვლილი ღონისძიებების განსახორციელებლად - პროგრამის პირველი კომპონენტის თანხა 3 740 მთლიანად იქნა ათვისებული, ხოლო მეორე კომპონენტის თანხა 3000 ლარის ათვისება, ჯერ არ მომხდარა ვინაიდან არ ყოფილა მომართვიანობა.

პროგრამა, შემუშავდა მიმდინარე წელს, ამოქმედდა აგვისტოს თვეში, არის ორ კომპონენტის პირველი კომპონენტი მოიცავს :


„ქალთა მიმართ ძალადობის“ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში 2022 წელს სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარებას , რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს, რომ თვალის დახუჭვა, გულგრილობა, გვერდზე დგომა დაუშვებელია, და რომ თითოეული ადამიანის ერთი ზარი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის ჯანმრთელობის დასაცვად.

ხოლო, მეორე კომპონენტი - ბენეფიციარისათვის ფინანსური დახმარების ან/და ბინის დაქირავების ხარჯი.

ღონისძიების ფარგლებში დაიბეჭდა საინფორმაციო ფლაერები, რომელზეც დატანილია ინფორმაცია იმ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის სერვისების შესახებ, რომელიც მიეწოდება ძალადობის მსხვერპლს, ფლაერები 10 ადმინისტრაციული ერთეულის 64 სოფელში დარიგდა.

აღსანიშნავია, რომ ქედის მუნიციპალიტეტი რეგიონში ერთ-ერთი პირველია, სადაც ეს პროგრამა დაინერგა და მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 6740 ლარი გამოიყო

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ძირითადად მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:




ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია - ნალას მიერ გამოცხადებულ საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში, ქედის მუნიციპალიტეტის მერია დაჯილდოვდა ნომინაციაში თემატიკაზე „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძობიარე მუნიციპალური სერვისების განვითარება“.



ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი ადგილზე მუშაობს ოთხი მიმართულებით: დასაქმების ხელშეწყობა, ეკონომიკური გაძლიერება, ქალთა ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ დონეზე.

2022 წელს მიღწეული შედეგები:



ინფორმაციას ქალ მეწარმეებს სხვადასხვა მცირე საგარანტო პროექტების შესახებ აწოდებს ქალთა ოთახის მენეჯერი (გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირები), სოციალური ქსელისა და პირდაპირი კომუნიკაციის გზით. ქალების ჩართვა პროგრამებში ხორციელდება ქალთა ოთახის გავლით, რომლებთანც მჭიდრო კავშირზე არის საკითხზე მომუშავე პირები, ამის მაგალითია მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში გაეროს განვითარება (UNDP), ბათუმის ბიზნეს ინკუბატორთან პარტნიორობით გამოცხადებული საგარანტო კონკურსი, რომლის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ქალთა ოთახმა, დაინტერესებულ მეწარმეებს/ქალებს ჰქონდათ იდეა და ვერ წერდნენ პროექტს, სწორედ ქალთა ოთახის სერვისი ფარგლებში იდეა/პროექტად იქცა, მათ შორის ორმა პროექტმა გაიარა საკონკურსო ყველა ეტაპი და გამოვლინდა გამარჯვებულად, ერთი პროექტი ითვალისწინებს მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სილამაზის სალონის გახსნას (პროექტის ბიუჯეტი - 8000 ლარი, ბენეფიციარის თანამოაწილეობა 10%-ი) ხოლო მეორე პროექტი საქსოვი დაზვის შექმნას (ბიუჯეტი 5600 ლარი, ბენეფიციარის თანამოაწილეობა 10%-ი)

მიმდინარე წელს "ქალთა ოთახების" ვიზიტორები (ინდივიდუალური ვიზიტორები + ქალთა ოთახში ჩატარებული ღონისძიებების/შეხვედრების/ტრენინგების მონაწილეთა ჯამური რაოდენობა)

ქალთა ოთახის 2022 წლის მონაცემთა ბაზა								
N	დასახელება	განხორციელებული აქტივობის (შეხვედრა/ტრენინგი და ა.შ.) რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა	ქალთა რაოდენობა	ინკლუზია			
					ეთნიკურობა, %	შპმ პირები (რაოდენობა)	სოციალურად დაუცველები (რაოდენობა)	მოსწავლეები/ახალგაზრდები (რაოდენობა)
1	"ქალთა ოთახების" ვიზიტორები (ინდივიდუალური ვიზიტორები + ქალთა ოთახში ჩატარებული ღონისძიებების/შეხვედრების/ტრენინგების მონაწილეთა ჯამური რაოდენობა)		1500	1100	ქართველი	50	600	150
2	"ქალთა ოთახებში" ჩატარებული შეხვედრები	17	250	190	ქართველი	17	120	30
3	"ქალთა ოთახების" მიერ ორგანიზებული ტრენინგები	18	320	200	ქართველი	18	160	35
4	"ქალთა ოთახებში" სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგები	10	200	160	ქართველი	7	140	20
5	გასვლითი შეხვედრები თემში/სოფელში	15	360	210	ქართველი	23	170	40
6	ონლაინ ჩატარებული შეხვედრები	10	60	40	ქართველი	1	5	0
7	ადვოკატირების კამპანიები/ინიციატივები	2						
8	ქალების მიერ ინიცირებული სათემო პროექტები (საბავშვო ბაღები, წყალი)	1	26	26	ქართველი	0	8	0

„ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებაში.“

2022 წლის აგვისტოდან, - „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით „ქალთა შრომითი უფლებების ადვოკატირების“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტში დაიწყო პროექტი სახელწოდებით „ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებაში.“ პროექტის ფარგლებში შერჩეულ მონაწილეებს მოწვეულ ფასილიტატორთან ერთად ჩაუტარდათ 4 დისკუსია დაბა ქედაში, სადაც ჩართული იყო 20 ქალბატონი, რომლებმაც ისაუბრეს შემდეგ საკითხებზე;

- 1) დეკრეტული შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამოწვევები და რეაგირების გზები - ა) შვებულების ხანგრძლივობა; ბ) შვებულების გაცემის წესი; გ) შვებულების თავისებურებანი სხვადასხვა სიტუაციაში;
- 2) დასაქმების ადგილზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტიგმის დაძლევა - ქალთა უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმები;
- 3) გენდერული უთანასწორობა შრომით ბაზარზე: ა) აუნაზღაურებელი შრომა და ზრუნვის ეკონომიკა; ბ) შრომაში არსებული პრობლემების გამოვლენა/რეაგირება;

4) ადვოკატირების მექანიზმები: ა) შშმ ქალებისთვის; ბ) შშმ პირთა მშობლებისთვის; გ) მარტოხელა დედებისთვის, მოქნილი სამუშაო გრაფიკის მხარდაჭერა/რეაგირება;

პროექტის დასკვნითი აქტივობა იყო სოფლად დისკუსიების ორგანიზება, მონაწილეები გაიყვნენ ორ ჯგუფად და ქალთა ოთახის მენეჯერებთან ერთად გამართეს დასკვნითი შეხვედრა ქედის პერიფერიულ 2 სოფელში, ჯალაბაშვილებში და მახუნცეთში. უკვე გადამზადებულმა მონაწილეებმა ისაუბრეს ქალთა შრომით საკითხებთან დაკავშირებით, ზემოთ ნახსენებ საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ქალები და გოგონები, როგორც დასაქმებულები, ასევე დაუსაქმებლები, ქალთა ოთახის მხირდან კი პროექტის მონაწილეები და აქტიური ქალბატონები, ქალთა ოთახის ბენეფიციარები, ერთგვარი სახე, რეალური და თვალსაჩინო მაგალითი წარმატებული ქალის, დაშემდგომი კი მოტივაცია სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, რომლებმაც გაუზიარეს თავიანთი პრაქტიკული თუ თეორიული გამოცდილება.

შეხვედრის მონაწილეებს დასაწყისში გავაცანით ქალთა ოთახის სერვისი და მუშაობის პრინციპი, სამომავლო გეგმები და აქტივობები, შემდგომ პროექტის არსი, მსვლელობა და ვისაუბრეთ პროექტის ფარგლებში არსებული საკითხების ირგვლივ. ჩართულობა იყო საკმაოდ მაღალი, გამოიკვეთა ქალთა საჭიროებები, გამოწვევები და იდეები, ძირითადად მათ აინტერესებდათ ინფორმაცია სხვადასხვა საგრანტო თუ ბიზნეს პროექტებთან დაკავშირებით, გაგვაცნეს იდეები, რომელთა განხორციელებაც სამომავლოდ სურთ, რათა გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა და აისრულონ ის მიზნები და მისწრაფებები, რაც სამომავლოდ აქვთ, თან ისე, რომ არ დასჭირდეთ სოფლიდან წასვლა. შეხვედრის ბოლოს მივიღეთ დადებითი შეფასებები, მზაობა და სურვილი მსგავს პროექტებში მონაწილეობის. მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ამ ტიპის გასვლითი შეხვედრები თემებში და სოფლებში, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ხელს შეუწყობს ცნობიერების გაზრდას, სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურებას, გაძლიერებას, ინფორმირებას და სამოქალაქო აქტივიზმში ჩართვას.



ქედის მუნიციპალიტეტის მერია



გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის 2023 წლის მიზნობრივი პროგრამები

ბიუჯეტი: 50 000 ლარი.

- ➔ „ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა“
- ➔ „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა“
- ➔ „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა“

WWW.KEDA.GOV.GE